საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №54

2025 წლის 28 აპრილი

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 16 დეკემბრის №90 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 16 დეკემბრის №90 ბრძანებაში (ვებგვერდი, 16/12/2016, სარეგისტრაციო კოდი: 280120000.22.026.016445) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დებულების:

1. მე-3 მუხლის „ხ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ხ) სამინისტროს ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განხორციელების უზრუნველყოფა, სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა დროულად შესრულება, ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზება, ფინანსური და არაფინანსური აქტივების და ვალდებულებების ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორი წარმართვა კომპეტენციის ფარგლებში;“.

2. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის:

ა) „ა.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ა) უზრუნველყოფს ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განხორციელებას;“

ბ) „ა.კ“ და „ა.ლ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.კ) უზრუნველყოფს ანგარიშგების (რეპორტის) მომზადებას და დაგენილ ვადებში სამინისტროს საფინანსო დეპარტამენტში წარდგენას;

ა.ლ) ანგარიშვალდებულია სამინისტროს საფინანსო დეპარტამენტის წინაშე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2025 წლის 12 აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ჩიქოვანი**